- ყვავილედის სახეობა (6)
- ცხენის ქენების ფორმა (5) / ინგლ. პრინცების კოლეჯი (5)
- ცეცხლის ინდური ღვთაება (4)
- ორთაბრძოლა (6) / სიყვარულს შეიქმს (4)
- ამაზონში მობინადრე დელფინი (4)
- ყველაზე შხამიანი გველი (5)
- საფრანგეთის ექსპრეზიდენტი (8)
- „კარვის (...........) ჩახლართული, ჩავჭერ ჩავაკარაბაკე...“ (5)
- ალბერტო მორავიას რომანი (6)
- „კასანდრაში“ უიმედოდ გამიჯნურებული ბოშა (5)
- თივის ასალები ოთხთითა (6)



**13**

თქვენი თხოვნის თანახმად კიდევ ერთ იტალიურ კროსვორდს ვამატებთ „ფანტაზიაში“ და ამის შემდეგ მე-12-13 გვერდები ყოველთვის, ასე ვთქვათ, იტალიელებს დაეთმობათ.

**ვერტიკალური შეკითხვები (ზემოდან):**

- მოსასხამი 6
- ესპანეთის რეგიონი 7
- (......) ფილფანი 3
- ესპანეთის მქვიდრი 5
- „დათა თუთაშხიაში“ 4
- სეზონური დაავადება 7
- ასეთი ყველის არსებობს 7
- ძვ.ბრაზილ. ფეხბურთელი 5
- დამცინავი 8
- სახარების ავტორი 4
- ლიტვის ფული 4
- ზღაპრის გოგონა 6
- მოხელე ძვ.სპარსეთში 7
- სხეული 4
- ძვირფასი თიხა 7
- სისხლძარღვი 7
- ქალაქი ჩუკოტკაში 7
- ქრისტიანული შეძახილი 5
- ხევსურთა სალოცავი 6
- წესი, რიგი 4
- სატურნის ქალიშვილი 3
- ძვ.რუსი ჩოგბურთელი ქალი 7
- ტალღების უნარი 9
- რუსული ესტრადის მომღერალი 5
- არაბული ქვეყანა 6
- სიმღერა 4
- „რაიკომის მდივნის“ გვარი 6
- ბაკალავრის შემდეგ 8
- ძვ.იტალიელი ფეხბურთელი 5
- შვეიცარული საათი 5
- არაბული ქვეყანა 5

**ჰორიზონტალური შეკითხვები (მარცხნიდან):**

- სიკეთე, წყალობა, ანუ? 5
- საფრანგეთის მეფეთა „საფირმო“ სახელი 3
- მსახიობი ფილმიდან „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“ 8
- პატარა ხე 5
- რომაელთა სამოსი 4
- ევროპის სახელმწიფო 10
- ყაზახი მწერალი 4
- 45 წთ 5
- გერმანიის მდინარე 4
- დიდი ეპოქა 3
- რა არის წარმოდგენილი მე-4 გვერდზე? 10
- სირიუსის შემდეგ სიდიდით მეორე ვარსკვლავი 8
- (......) აბაშიძე 6
- (......) ანდრიჩი 3
- საქართველოს კგბ-ს შეფი წლების განმავლობაში 6
- რელიგიური სასჯელი 7
- მცირე აზიის ისტ. რეგიონი 7
- კბილის საფარი 5
- ჩვენი ლუდი 7
- (.......) გაბუნია 7
- ჩვენი რაიცენტრი 4
- ელექტრო დანადგარი 4
- ჭაობის მცენარე 4
- თუთიყუში 3
- იყო ასეთი მინ.წყალი 5
- ამერიკ. კინომსახიობი ქალი 7
- პარიეტ ბიჩერ (.......) 4
- ქალაქი კრასნოდარის მხარეში 8
- ხეობა ქართლში 5
- 1954 წ გერმანელი ფეხბურთელი 4
- ქვეყნის ნაწილი 4
- (.....) ლიტმანენი 4
- შვეიცარიის მდინ. 4



# მე-20 საუკუნის 500 ყველაზე ცნობილი ადამიანი

412. **იოსებ სტალინი**
(1879-1953)
*(სტალინის შესახებ ნებისმიერ თქვენგანს უკეთესი ინფორმაცია მოიპოვება, ამიტომაც არ ვბეჭდავთ იმას, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომ უცხოურ წყაროებშია დაფიქსირებული).*

413. **ჯონ სტეინბეკი**
Steinbeck, John (1906-1975)
ამერიკელი მწერალი
ჯონ სტეინბეკი პირველ რიგში ცნობილია, როგორც ნოსტალგიური გრძნობების გამომწვევი მწერალი, რომელიც სოფლის უბრალო ადამიანების შესახებ წერს და ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკელი ხალხის შესახებ შექმნილი ეპიური თხზულება „მრისხანების მტევნები“. 1962 წელს სტეინბეკს მიენიჭა ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

414. **ქესი სტინგლი**
Stengel, Casey (1890-1975)
ბეისბოლისტი
ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ამერიკული ბეისბოლის ისტორიაში, რომელმაც 14 წარმატებული სეზონი გაატარა „ნიუ-იორ იანკის“ კლუბში და შემდგომ ამავე გუნდის მწვრთნელი გახდა.

415. **გლორია სტეინემი**
Steinem, Gloria (1934-)
ამერიკელი ჟურნალისტი
მოღვაწეობა დაიწყო როგორც ქალთა ჟურნალებში გამოქვეყნებული მსუბუქი ხასიათის სტატიების ავტორმა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისმა ჟურნალისტურმა ორიენტაციამ მკვეთრად გამოხატული ფემინისტური ელფერი მიიღო, რამაც იგი ქალთა უფლებების დამცველ აქტიურ მოღვაწედ იქცა.

416. **ისააკ სტერნი**
Stern, Isaak (1920)
ამერიკელი მევიოლინე
მისი სცენიური დებიუტი 11 წლის ასაკში შედგა და 20 წლისას უკვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოს-შემსრულებლის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მას შემდეგ არ ყოფილა არცერთი პრესტიჟული სცენა და ფესტივალი, სადაც სტერნს მაყურებელთა ოვაციები არ დაემსახურებინოს. მისი თაოსნობით შეიქმნა ამერიკა-ისრაელის კულტურული ურთიერთობის ორგანიზაცია და ისრაელის ეროვნული სამუსიკო ცენტრი. წლების განმავლობაში თანამშრომლობდა კარნეგი-ჰოლთან და ითვლებოდა მის ლიდერად.

417. **იგორ სტრავინსკი**
Stravinsky, Igor (1882-1971)
რუსი კომპოზიტორი
პეტერბურგში დაბადებულმა რუსული წარმოშობის კომპოზიტორმა იგორ სტრავინსკიმ, შესაძლოა, ყველაზე დიდი ზეგავლენა იქონია მთელი XX საუკუნის მუსიკის განვითარებაზე. 1910-11 წლებში დადგმულმა მისმა ფოლკლორულმა საბალეტო სპექტაკლებმა თითქმის სენსაციური გამოხმაურება ჰპოვა მუსიკის სამყაროში. 1914 წელს იგი გადასახლდა საფრანგეთში, 1939 წლიდან კი ცხოვრობდა აშშ-ში და 1945 წელს ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. 1962 წელს, 48 წლიანი პაუზის შემდეგ, სტრავინსკი პირველად ჩავიდა რუსეთში და დიდი საგასტროლო ტურნე გამართა.

418. **ადლაი სტივენსონი**
Stevenson, Adlai (1900-1965)
აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე
უმაღლესი იურიდიული განათლების მიღებისთანავე სახელმწიფო სამსახურში ჩადგა. მეორე მსოფლიო ომის წლებში დიპლომატიურ საქმიანობას ეწეოდა. ომის შემდეგ იყო აშშ-ს წარმომადგენელი გაერო-ში, შემდეგ ილინოისის შტატის გუბერნატორი. 1952-56 წლებში საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა დუაიტ ეიზენჰაუერთან. სიცოცხლის ბოლო წლებში იყო აშშ-ს ელჩი გაეროში.


სტრავინსკი


სუჰარტო

419. **ჰენრი ლუის სტიმსონი**
Stimson, Henry Lewis (1867-1950)
აშშ-ს სახელმწიფო მოღვაწე
მოღვაწეობა დაიწყო უილიამ ჰაუარდ ტაფტის ადმინისტრაციაში, როგორც თავდაცვის მინისტრმა, შემდეგ წლების განმავლობაში იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი. მეორე მსოფლიო ომის წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო ატომური ბომბის შექმნასა და გამოყენებაში.

420. **აჰმად სუკარნო**
Sukarno, Achmad (1901-1970)
ინდონეზიელი პოლიტიკოსი
ინდონეზიის პრეზიდენტი 1945-67 წლებში. ინდონეზიის ეროვნული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1927 წ) და მისი თავმჯდომარე. 30-იან წლებში, ნიდერლანდელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის არაერთხელ იყო დაპატიმრებული. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გახდა დამოუკიდებელი ინდონეზიის პირველი პრეზიდენტი. 1955 წლის იყო ბანდუნგის კონფერენციის ჩატარების ერთ-ერთი ინიციატორი.

421. **სუჰარტო**
Suharto (1921)
ინდონეზიელი პოლიტიკოსი
დაიბადა კუნძულ იავაზე მდებარე პატარა სოფელში. ყმაწვილობიდანვე ჩაება ჰოლანდიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, სამსახური დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ არმიაში და მალე მისი ერთ-ერთი წამყვანი ოფიცერი გახდა. 60-იანი წლების დასაწყისში სუჰარტომ თავდაცვის მინისტრის პოსტს მიაღწია და აქტიური ბრძოლა დაიწყო საპრეზიდენტო პოსტის მოპოვებისათვის, რასაც მიაღწია კიდეც 1968 წელს დიდი სისხლისღვრის შედეგად და თითქმის 30 წელი ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას.


ისააკ სტერნი


სტეინბეკი

1998 წელს მძიმე პოლიტიკური და ფინანსური კრიზისის გამოისობით სუჰარტო იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თავისი პოსტი.

422. **სუნ იატსენი**
Sun Yat-Sen (1866-1925 წწ)
ჩინელი პოლიტიკოსი
დაიბადა შეძლებულ ოჯახში და საშუალება ჰქონდა საფუძვლიანი განათლება მიეღო ჰონგ კონგში. მალე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება და იძულებული გახდა 1905 წლამდე ემიგრაციაში ეცხოვრა. მისი ინიციატივით შეიქმნა სახალხო ორგანიზაცია ტუნმენხოი, რასაც წარმმართველი როლი მიენიჭა 1911-13 წლების სინხაის რევოლუციაში. 1912 წელს იგი არჩეულ იქნა ჩინეთის პირველ პრეზიდენტად, ამავე წელს დააარსა გომინდანის პარტია, მაგრამ მალე კვლავ მოუხდა ემიგრაციაში წასვლა. 1917 წელს დაბრუნდა ჩინეთში და სიცოცხლის ბოლომდე სამთავრობო ოპოზიციის ლიდერად ითვლებოდა.


ელიზაბეტ ტეილორი

423. **ჰელენ ბრუკ ტოსიგი**
Taussig, Helen Brooke (1899-1986)
მედიკოსი
იგი იყო პირველი ქალი, რომელიც ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო სკოლის საპატიო პროფესორი გახდა. ჰელენ ტოსიგის ინიციატივით შეიქმნა ისეთი ახალი დისციპლინა, რასაც შემდგომ პედიატრიული კარდიოლოგია ეწოდა. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა არაერთი ოპერაცია მიმართული ბავშვთა კარდიოლოგიური პრობლემატიკის გადაჭრის საქმეში. 1965 წელს დოქტორი ტოსიგი გახდა პირველი ქალი, რომელიც ამერიკის კარდიოლოგიური ცენტრის პრეზიდენტად აირჩიეს.

424. **მაქსველ ტეილორი**
Taylor, Maxwell (1901-1987)
ამერიკელი სამხედრო მოღვაწე
მონაწილეობდა ყველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ოპერაციებში, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს განახორციელა აშშ-მ. 1953 წელს ხელმძღვანელობდა აშშ-ს არმიას კორეაში. 1964 წლიდან იყო აშშ-ს ელჩი სამხრეთ ვიეტნამში. ტეილორი იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც პრეზიდენტი ჯონსონი დაარწმუნა ვიეტნამში აშშ-ს არმიის შეყვანის აუცილებლობაში და ითვლება ამ ომის წამოწყების ერთ-ერთ ინიციატორად.

425. **ელიზაბეტ ტეილორი**
Taylor, Elizabeth (1932)
ამერიკელი მსახიობი
ელიზაბეტ ტეილორი, გარდა სხვა დამსახურებებისა, ისტორიას შემორჩება, როგორც პირველი ბავშვი, ვისაც მთელი მსოფლიოს ყურადღება და პატივი ერგო, როცა 12 წლის ასაკში პირველად გამოჩნდა ეკრანზე. მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, რაც ტრიუმფებითა და ტრაგედიებითაა აღსავსე, ელიზაბეტ ტეილორისადმი არასოდეს განელებულა მაყურებელთა ინტერესი. მისმა საოცარმა ნიჭიერებამ და გარეგნობამ, აგრეთვე სკანდალურმა პირადმა ცხოვრებამ და მრავალგზის ქორწინებამ, ელიზაბეტ ტეილორი ჰოლივუდის ერთ-ერთ ლეგენდად აქცია.

426. **არტურ ტედერი**
Tedder, Arthur (1890-1967)
ბრიტანელი სამხედრო მოღვაწე
დიდგვაროვნული წარმოშობის მქონე, ბარონი არტურ ტედერი მონაწილეობდა როგორც პირველი ასევე მეორე მსოფლიო ომების პერიპეტიებში და თავისი ქვეყნის არმიის საჰაერო ძალების შეუცვლელ მეთაურად ითვლებოდა.

427. **ედვარდ ტელერი**
Teller, Edward (1908)
ამერიკელი ფიზიკოსი
დაიბადა უნგრეთში. სწავლობდა და მუშაობდა გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. 1935 წლიდან ცხოვრობს აშშ-ში. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ბირთვულ ფიზიკასა და ასტროფიზიკაში. იყო მონაწილე ამერიკული ატომური და თერმობირთვული ბომბების შექმნის ხანგრძლივი პროცესისა.

# ვაიომინგი




## ისტორიული ექსკურსი

ვაიომინგის ტერიტორიაზე დაახლოებით 11 000 წლის წინ დაადგა ადამიანმა ფეხი; ესენი იყვნენ მცირე ჯგუფისაგან შემდგარი მონადირეები, რომლებიც ძირითადად ბიზონებზე ნადირობდნენ. პირველმოსახლე ინდიელებს შორის კი **შოშონებისა** და **ბენოკის** ტომის ინდიელები დომინირებდნენ. ინდიელთა იდილიური ბატონობა ვაიომინგში XVIII საუკუნემდე არ დარღვეულა, თუმცა ევროპელთა გადმოსახლების ფაქტს ისინი კარგად იცნობდნენ, რადგან მათგან შეძენილი თუ მოპარული ცხენებით მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს საკუთარი ყოფა-ცხოვრება.

### პირველაღმომჩენები

პირველი ევროპელები ვაიომინგში დაახლოებით XVI-XVII საუკუნეების ზღვარზე გამოჩნდნენ და ესენი მოგზაურობის ჟინით აღძრული ესპანელი ვაჭრები იყვნენ, თუმცა მათი სტუმრობა მეტისმეტად ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. ვაიომინგში დასახლებული პირველი ევროპელები, რომელთა სახელი ისტორიას შემორჩა ფრანგი ვაჭარი ფრანსუა დე ლა ვერენდიე და მისი ძმა ლუი ჟოზეფი იყვნენ. ეს მოვლენა კი 1743 წლით თარიღდება.

### ველური დასავლეთის ათვისება

1803 წლის ლუიზიანას გარიგების შემდეგ აშშ-ს იურისდიქცია ვაიომინგის აუთვისებელ მიწებზეც



პირველი ევროპული ფორტი ვაიომინგში

გავრცელდა, თუმცა მისკენ გახედვა ხანგრძლივად არავის უფიქრია. პირველი სერიოზული ექსპედიცია, რომელიც წყნარი ოკეანის მიმართულებით განხორციელდა 1811 წელს შეიქმნა, რომლის მარშრუტში ძირითადი ყურადღება სწორედ ვაიომინგის გაცნობას დაეთმო. სწორედ ამ ექსპედიციის თანმხლებ პირთა გარკვეულმა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი ვაიომინგის აუთვისებელ ტერიტორიებზე დამკვიდრებულიყვნენ, თუმცა ეს პროცესი 1820 წლამდე შეწყდა, ვიდრე დასავლეთისაკენ დაძრული ადამიანების ნაკადიდან ცალკეულმა პირებმა არ შეაფასეს ღირსეულად აღნიშნული რეგიონის რესურსები. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო მოახალშენეთა არცთუ მასობრივი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი დამკვიდრება ვაიომინგის მიწებზე, რომელთა ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა და სასარგებლო წიაღისეულის ძიება წარმოადგენდა.

ველური დასავლეთის საბოლოო ათვისების შემდეგ ვაიომინგი წყნარი ოკეანისაკენ მიმავალი მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის საკვანძო უბანი გახდა და, მიუხედავად მოსახლეობის სიმცირისა, 1890 წელს აუცილებლობად იქცა ვაიომინგის ცალკე შტატად გამოცხადება.

**ვაიომინგი** (Wyoming) - მდებარეობს აშშ-ს ცენტრალური რეგიონის დასავლეთ ნაწილში. ეს არის ერთ-ერთი ე.წ. „უდაბურ შტატთაგანი“, სადაც მოსახლეობის მინიმალური რაოდენობა ცხოვრობს.

ვაიომინგი აშშ-ს 1803 წელს გადაეცა ლუიზიანას ცნობილი გარიგების საფუძველზე, დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ ერთეულად 1868 წელს გამოცხადდა, თუმცა შტატის სტატუსის მინიჭებას კიდევ 22 წელი დასჭირდა და **1890 წლის 10 ივლისს** მანაც მიიღო აშშ-ს შემადგენლობაში, ქრონოლოგიური რიგის მიხედვით **44-ე დამოუკიდებელ შტატად,** ყოფნის უფლება.

* * *

ვაიომინგი ბუნებრივი რეგიონების თვალსაზრისით ოთხ ძირითად ნაწილად იყოფა, რომელთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ტყის საფარის არსებობა-არარსებობაა.

ამ შტატს წამყვანი ადგილი უკავია როგორც ნავთობის, გაზის და ურანის მოპოვების საკითხში, ასევე მატყლის წარმოების სფეროშიც.

შტატის უმთავრეს ღირსშესანიშნაობად იელოუსტოუნის ეროვნული პარკი ითვლება.

* * *

სახელი „ვაიომინგი“ ოფოციალურ ამერიკულ ტოპონიმიკაში 1865 წელს გამოჩნდა და ეწოდა უდაბურ რეგიონს, რომელიც იუტა-კოლორადოსა და მონტანას შტატებს შორის მდებარეობდა. სიტყვის წარმომავლობა დაკავშირებულ აბორიგენთა ენასთან და ცნება *mecheweamiing* -საგან („დიდი ველები“) უნდა მოდიოდეს. ვაიომინგს სხვაგვარად „კოვბოების შტატს“ და „თანაბარუფლებიანობის შტატსაც“ უწოდებენ.


რედ-როკის კანიონი

**ვაიომინგი** (wī-ō'mĭng)

**ფართობი** - 253,350 კვ.კმ. (97,819 კვ.მილი) - აშშ-ს სიდიდით მე-9 შტატი.
**მაქსიმალური სიგრძე** - 444 კმ
**მაქსიმალური სიგანე** - 586 კმ
**მოსახლეობა** - 455 000 (1995 წ).
**მოსახლეობის სიმჭიდროვე** - 2 ადამიანი 1 კვ. კმ.-ზე
**ადმინისტრაციული ცენტრი** - შაიენი.


**დროშა** - *წითელ ფონზე ლურჯი კვადრატი ბიზონის გამოსახულებით*



**ღერბი** - *წარწერით* ***Great Seal of the State of Wyoming***


**ფრინველი** - *ტოროლა* ***(Western Meadowlark);***


**ყვავილი** - *ინდური ფუნჯი* ***(Indian Paintbrush)***


**ხე** - *ალვა* ***(Cottonwood).***

**დევიზი** - *ინგლ.* **- Equal Rights** *(თანაბარუფლებიანობა)*

- ვაიომინგი 23 ოლქადაა დაყოფილი.

- ეს შტატი აშშ-ში 50-ე ადგილზეა მოსახლეობის რაოდენობის მხრივ.

- მხოლოდ ალასკა ჩამორჩება ვაიომინგს მოსახლეობის სიმჭიდროვის საკითხში.

- შტატის მოსახლეობის 94,2%-ს ევროპიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები შეადგენენ, 2,1 % ეკუთვნით აბორიგენ ამერიკელებს, 0,8%-ია შავკანიანთა რიცხვი, 0,6 % - აზია-ოკეანეთიდან გადმოსახლებულები.

- ვაიომინგის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რელიგიური თვალსაზრისით, პროტესტანტებად ითვლება, საკმაოდ არიანი მორმონები და ბაპტისტებიც. მთელი მოსახლეობის დაახლოებით 18 პროცენტი კათოლიკური ეკლესიის აღმსარებლობას განეკუთვნება.

- ვაიომინგის უდიდესი ქალაქებია: შაიენი (50 000), კასპერი (46 000), ნიუარკი (27 000), როკ-სპრინგსი (20 000).

**შაიენი** - მდებარეობს შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დაფუძნებულია 1867 წელს, როგორც დასავლეთისაკენ მიმავალი რკინიგზის საკვანძო პუნქტი და მას შემდეგ ითვლება მთელი რეგიონის არა მარტო ადმინისტრაციულ, არამედ სამრეწველო-კულტურულ და ერთ-ერთ მსხვილ საბანკო ცენტრადაც.

1890 წელს,როცა ვაიომინგი აშშ-ს დამოუკიდებელ შტატად გამოცხადდა, შაიენს ოფიციალურად მიეცა დედაქალაქის სტატუსი.


CHEYENNE

*მე-20 საუკუნის სკანდალური პიროვნებები*

# Isadora Duncan



**დაიბადა 1878 წლის 26 მაისს სან-ფრანცისკოში გარდაიცვალა 1927 წლის 14 სექტემბერს ნიცაში.**

აისედორა დუნკანის ცხოვრება თავიდანვე იმის სრულ გარანტიას იძლეოდა, რომ მისი დინება ერთობ უცნაური და ცვალებადი იქნებოდა. ავტობიოგრაფიაში იგი საკუთარი თავის შესახებ ასე წერს:
„ბავშვის ხასიათი დედის საშოშივე ყალიბდება. ჩემს დაბადებამდე დედაჩემი დიდ ტრაგედიას განიცდიდა და არაფრის ჭამა არ შეეძლო, გარდა „აფროდიტეს საკვებისა“ ანუ კიბორჩხალებისა, რასაც ყინულოვან შამპანიურს აყოლებდა. ამიტომაც, როცა მეკითხებიან, თუ როდის დავიწყე ცეკვა, ასე ვპასუხობ - ცეკვა დედის საშოში დავიწყე... შესაძლოა, კიბორჩხალების და შამპანურის გამოისობითაც.“

## ბავშვობა

ერთობ უიღბლო და უბედური გამოდგა აისედორა დუნკანის ბავშვობა. მამამისი, ჯოზეფ დუნკანი, ხელმოცარული კაცი იყო და როცა მთლად გაკოტრდა, გაიქცა და სამი შვილი და ჯერ კიდევ არშობილი აისედორა დედის და ბედის ანაბარა მიატოვა, რომელთაც არსებობის არანაირი სახსრები არ გააჩნდათ. აისედორაც მალე დაიბადა (სხვა რა გზა ჰქონდა!) და ხუთ წლმადე ძლივს რომ მიაღწევინეს, მეექვსე წელს უპატრონო ბავშვთა სკოლის ხელმძღვანელობა მოატყუეს - ბავშვი მერვე წელშია და მანდ მყოფი მიუსაფარი ბავშვების გვერდით დასვითო.

არა, დედას მთლად არ მიუტოვებია ნაბოლარა გოგონა! შაბათ-კვირას უმამო ოჯახი მაინც ახერხებდა ერთად თავმოყრას და ქვეცნობიერად რაღაც ანტისამყაროსეული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, რასაც საფუძვლად სიღატაკე ედო და სახელად „დუნკანების კლანი“ ერქვა. სხვა რამ საინტერესო და სახალისო აისედორას ადრეულ ბავშვობას არა გააჩნდა რა და მანაც ერთ მშვენიერ დღეს, 13 წლის ასაკში, ისე მიატოვა სკოლაც და მისი ბაიყუში მასწავლებლებიც, რომ უკან არ მოუხედავს.

## ჩიკაგოში

სკოლა მიატოვა და ცეკვა დაიწყო - თავისთვის, შემდეგ მეგობრებისთვის, შემდეგ ქუჩისთვის და ასე შემდეგ და თანდათანობით 18 წლის ასაკამდე მიაღწია, როცა სან-ფრანცისკოდან ჩიკაგოში თავისუფლად (და ნებართვით!) შეძლებდა გამგზავრებას. საცეკვაო ადგილი კი ადვილად მოიძია უკვე უზარმაზარ მეგაპოლისად ქცეულ ჩიკაგოში და გროშების შოვნაც შეძლო და იქვე კინაღამ კისერიც წაიტეხა, რადგან ლამის და კინაღამ ქორწინების ყულფში არ ამოყო თავი. საქმე იმაშია, რომ მისმა ერთ-ერთმა პირველმა თაყვანისმცემელმა, წითურმა პოლონელმა, 45 წლის ივან მიროსკიმ „სათანადო დაინტერესება“ გამოამჟღავნა მის მიმართ და გასამრჯელოსაც გვარიანს დაჰპირდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს ემიგრანტი სლავი წმინდაწყლის ავანტურისტი იყო და თანაც, არ დაგავიწყდეთ, - ცოლიანი! ერთი სიტყვით, ეს პირველი უიღბლო რომანი დასაწყისშივე ჩაიფერფლა, მაგრამ, სამწუხაროდ ერთობ სიმბოლური აღმოჩნდა, რადგან მას შემდეგ თითქმის არცერთ სასიყვარულო თავგადასავალში ბედი აღარ სწყალობდა აისედორას და საფლავში ისე ჩავიდა, რომ ნამდვილი სიყვარულის მადლი და გემო არ უგრძვნია.

## საკუთარი თავის ძიება

ცეკვა არასოდეს მობეზრებია და არც თაყვანისმცემელთა ნაკლებობა უგრძვნია, მაგრამ რაღაც შეუცნობი შინაგანი სამყარო კარნახობდა მას, რომ ასე ცეკვა არ შეიძლებოდა. იმ ეპოქის საბალეტო ტრადიციები მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული და უფრო კანონებს ემორჩილებიდა, ვიდრე შთაგონებას. არადა, ცეკვისათვის შობილი ეს ქალი, რომლის შესახებ ვცდილობთ, საინტერესო საუბარი გამოგვივიდეს, ვერასოდეს დაემორჩილებოდა შეზღუდულ ნორმებს, რადგან ცეკვა მისთვის იყო ადამიანის ბუნებრივი მოძრაობა და არა ძალდატანებითი აწრიალება სხეულისა, რადგან ცეკვა სულიდან მომდინარე მთრთოლვარების დასტური იყო და არა მათემატიკურად გათვლილი ილეთების გროვა. შესაძლოა, უბრალო პროტესტის ნიშნადაც მოხდა ის, რომ ოციოდე წლის მოცეკვავემ დაარღვია ყველა წესი და რიტუალი და უკვე საგანგებოდ მისთვის მოწყობილ საღამოებზე ასრულებდა ისეთ ეკზოტიკურ, საიდანღაც და როგორღაც შექმნილ ცეკვებს, რასაც მაყურებელი არ აკლდა, მით უმეტეს, რომ ეს (თავხედი!) გოგონა სრულიად ფეხშიშველი როკავდა სოლიდური პუბლიკის წინაშე.

თუმცა არც ის შეიძლება ითქვას, რომ აისედორა არ სწყალობდა საბალეტო ხელოვნებას და მისი არა გაეგებოდა რა, პირიქით - ნიჭიერებას და მაღალ ოსტატობას ისიც სათანადოდო აფასებდა და აღტაცებით უმზერდა იმ ეპოქის გენიალური ბალერინების გამოსვლებს, ასეთი კი მაშინ რუსი პავლოვა იყო, რომელთანაც მალე მეგობრული ურთიერთობანიც კი გააბა.

## პირველი გასტროლები და რიგითი მიჯნურები

1903 წელს აისედორა ოჯახთან ერთად ევროპაში გადაბარგდა, სადაც ორიოდე სოლო კონცერტის შემდეგ იმდენად გაუმჯობესდა მათი მდგომარეობა, რომ საბერძნეთში სამოგზაუროდ წასვლაც გადაწყვიტეს. არც ამ მოგზაურობას ჩაუვლია უკვალოდ მოცეკვავე (და არა ბალერინა!) ქალისათვის. რა თქმა უნდა, იმის მტკიცება, რომ ამ უძველეს ქვეყანაში აისედორა დუნკანმა რაღაც მაგიური ენერგია შეიძინა არ იქნებოდა მთლად მართალი, მაგრამ არც ისაა ჭეშმარიტებას მოკლებული, რომ მისმა უსაზღვრო წარმოსახვამ და სათუთი ნიჭიერებით გაწამებულმა სულმა მცირე ხანში მიიღო ის მუხტი შემოქმედებისა, რასაც ბრიყვები ვერასოდეს ეზიარებიან.

* * *

ავანტურისტი მიროსკის შემდეგ ცნობილია კიდევ ერთი კაცი, რომელმაც, მცირედი და უმნიშვნელო, მაგრამ მაინც „რომეოს“ როლი შეასრულა მის ცხოვრებაში. ეს იყო ოსკარ ბერეჟი, სლავური წარმოშობის ნიჭიერი, პოპულარული უნგრელი მსახიობი და ვნებიანი მოყვარული ქალებისა (...არადა, რა სასჯელი იყო განგებისა, რომ საყვარლებიც და ქმარიც სულ სლავური წარმოშობისანი ხვდებოდნენ?!). დიახ, ოსკარ ბერეჟიზე მოგახსენებდით, რომელთანაც საქმე იმდენად ზღაპრულად წარიმართა, რომ მათ თავი უფლისწულ-მზეთუნახავი ეგონათ, მაგრამ, როგორც ზღაპარს სჩვევია, ყველაფერი მალე დასრულდა, რადგან ბერეჟიმ ოჯახურ იდილიას თავზეხელაღებული სამსახიობო კარიერა არჩია და გაიქცა.

შემდეგი შუალედური მიჯნური იყო ვინმე ჰენრიკ ტოდე, მწერალი და პედაგოგი (ასევე ცოლიანი), თუმცა, როგორც ამბობენ, დუნკან-ტოდეს დუეტი მხოლოდ „პლატონური სიყვარულით“ იკმაყოფილებდა პატივმოყვარეობას, ამიტომაც სულ მალე გამოჩნდა კრეგი...

## გორდონ კრეგი!

ეს იყო უნიჭიერესი რეჟისორი თეატრალური სამყაროსი, სულ საქმით დაკავებული, სულ მოუცლელი, სულ ვალებში გაჭედილი და სულ საყვარელი და სასურველი არა მხოლოდ აისედორასთვის, არამედ რამოდენიმე სხვა ქალისათვისაც. აისედორას ყველა ბიოგრაფი კი იმას ამტკიცებს, რომ ეს იყო უზომოდ მოყვარული წყვილიო, რისი დასტურიც მრავლად შემორჩენილი სატრფიალო ბარათები და წერილებია, სადაც იმ ეპოქის შესაფერადაა გადმოფრქვეული გრძნობათა ნაკადი.

ასეა თუ ისე, ამ სიყვარულმა თავისი ნაყოფიც გამოიღო პატარა გოგონას სახით, რომელსაც დედამ დიდრა დაარქვა, ეს მოხდა მაშინ, როცა უკვე დიდი მოცეკვავედ აღიარებულ აისედორას დაბადებიდან 29 წელი შეუსრულდა.

## ესე იგი 1907 წელს

სწორედ 1907 წელს ეწვია პირველად აისედორა დუნკანი რუსეთს და პეტერბურგში რამოდენიმე კონცერტი გამართა. ამავე პერიოდში დაუმეგობრდა იგი დიდ რეჟისორსა და მსახიობს კონსტანტინე სტანისლავსკის. ეს უკანასკნელი იმდენად იყო აღფრთოვანებული მოცეკვავის გაუცნობიერებელი ოსტატობით, რომ საათობით შეეძლო მისი სხეულის რწევისათვის ეცქირა, რაც უყურადღებოდ არ დარჩენია ქალს და აქედან რაიმე სარგებლის მოძიებაც კი მოისურვა, ანუ (როგორც თავად წერს საკუთარ ბიოგრაფიაში): აისედორამ ერთხელ პირდაპირ ტუჩებში აკოცა სტანისლავსკის და, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, გაოგნებამდე მიიყვანა თეატრის ეს გენიალური რეფორმატორი, რომელიც მალევე გამოერკვა სიტუაციიდან და უმალ გააცნობიერა ამ ურთიერთობის „ზეამოცანა“.

სტანისლავსკის მაშინ უკითხავს აისედორასთვის:

„ბავშვს რა მოვუხერხოთო?“.

„რომელ ბავშვსო?“ - თავის მხრივ დაბნეულა ქალიც.

„ჩვენსას“ - უპასუხია დიდ რეჟისორს და, დაუნახავს რა სიცილისაგან გადაბჟირებული ქალი, გატრიალებულა და უკანმოუხედავად წასულა.



**„ღვთაებრივი შიშველფეხებას“ საოცარი ცხოვრება მაგალითია იმ უფსკრულისა, რაც სიღატაკესა და ფუფუნებას შორის ძევს...**

**მას აღმერთებდნენ ნიჭისა და მშვენიერების გამო...**

**მისი შურდათ თავისუფალი ქცევის და პუბლიკის სიყვარულის გამო...**

**იგი დაიღუპა სიყვარულის გამო...**

ასე დასრულდა მორიგი „სლავური რომანი“ აისედორა დუნკანის ცხოვრებაში, თუმცა ამ ორ დიდ ადამიანს მეგობრული ურთიერთობა არასოდეს შეუწყვეტია ერთმანეთთან.

## „აი, ჩემი მილიონერი!“

აისედორა კვლავ საშინელ მარტოობას განიცდიდა. ერთხელ, როცა იგი თეატრის საგრიმიოროში იჯდა, მასთან შევიდა თმააწეწილი წვეროსანი მამაკაცი და გაეცნო:

„პარის იუჯინ ზინგერი ვარო!“.

„აი, ჩემი მილიონერი!“ - გაუფიქრებია დუნკანს. შესაძლოა, ეს ზოგადად ქალისათვის (*ზოგადად-მეთქი!*) თვისებაა - მილიონერზე ოცნება, მაგრამ იმ დროს აისედორას მართლაც სჭირდებოდა ბევრი ფული, რადგან უამრავი ვალი ჰქონდა გადასახდელი და, რაც მთავარია, ფუფუნებით ცხოვრება უყვარდა (გაჭირვებაში გატარებული ბავშვობის გამოისობით, ალბათ).

ეს მდიდარი და ხელგაშლილი თაყვანისმცემელი კი მართლაც ღვთის წყალობასავით მოევლინა ჩვენი თხრობის გმირს.

„ლოენგრინი“ (ასე უწოდებდა აისედორა პარის იუჯინ ზინგერს) საკერავი მანქანის გამომგონებლის, სწორედ იმ ცნობილი ზინგერის შვილი გახლდათ და მამისაგან დანატოვარ უზარმაზარ ქონებას ფლობდა. აისედორა, რომ იტყვიან, თავით გადაეშვა ამ ახალ რომანში, მით უმეტეს, რომ მოგზაურობათა მთელი კასკადი აჩუქა მას ახლადშეძენილმა მიჯნურმა (...რომლისაგანაც, მხოლოდ სიყვარული კი არა, პატარა ბიჭუნა პატრიკიც შეიძინა).

დიახ, აისედორა დუნკანმა თითქოს და ლამის თავი ბედნიერად იგრძნო, მაგრამ ამ ბედნიერებას ის ჩრდილავდა, რომ ზინგერის ნაშიერი უსაშველოდ ეჭვიანი აღმოჩნდა და თავისუფლებისა და ფლირტის მოყვარულ ქალს არანაირ გასაქანს არ აძლევდა. არადა, მასაც ხომ უნდა გაეგო, რომ აისედორასთვის მამაკაცებთან არშიყი ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი იყო და ამის გარეშე არსებობა არ შეეძლო. ამასთანავე იგი (აისედორა) ბუნებრივი ამპარტავნობითაც უხვად გახლდათ დაჯილდოებული და სულ იმას ამბობდა - „ჩემი ყიდვა არ შეიძლება“. დიახ, დიახ, ამგვარ შეხლა-შემოხლას შესაბამისი შედეგიც მალე მოჰყვა და მილიონერი ზინგერიც გაქრა მისი ცხოვრებიდან.

## კვლავ რუსეთში, კვლავ პარიზში

1913 წელს აისედორა, თითქმის სამშობლოდ ქცეულ რუსეთში დაბრუნდა, სადაც მას ორი შვილი ჰყავდა დატოვებული.

როგორც აისედორას ბიოგრაფები წერენ, იმხანად ქალს რატომღაც მისტიური ხილვები მოეძალა, მისი სული გამუდმებულ მღელვარებაში იყო და იმასაც ამბობენ, რომ არაამქვეყნიურ ზმანებათა შორის იგი გამუდმებით ორ პატარა კუბოს ლანდავდაო... არავინ იცის, რამდენად შეეფერება ეს სინამდვილეს, მაგრამ მოვლენები ასე განვითარდა:

აისედორამ შვილები პარიზში წაიყვანა და კვლავ გადაეშვა „მსოფლიო ხელოვნების დედაქალაქის“ კაპრიზულ ცხოვრებაში. მცირე ხანში მან ცხოვრება მოიწესრიგა და ბავშვები გუვერნანტ ქალთან ერთად ვერსალში გაამგზავრა; ეს საშინელებაც იმ დღეს მოხდა: გზად მიმავალ ავტომობილს რაღაც გაუფუჭდა თურმე, მძღოლი გადმოვიდა ძრავის შესამოწმებლად, მაგრამ ვიდრემდე რაიმეს მოიმოქმედებდა, მძიმე ავტომობილი დაღმართზე დაგორდა და ორ ბავშვთან ერთად სენაში გადაიჩეხა...

* * *

თავად აისედორა არ ტიროდაო - ამბობენ თვითმხილველნი, იგი, პირიქით, სხვებს ამშვიდებდა და სწორედ ამან დააეჭვა მისი ახლობლები, რადგან მეტისმეტად უცნაურად მოეჩვენათ ასეთი თვალთმაქცური თავშეკავება და არც შემცდარან - ორიდე დღეში ქალი ლოგინად ჩავარდა და მთელი დარჩენილი ცხოვრებაც არასრულფასოვანი ადამიანის ცხოვრებით იცხოვრა.

## ოქროსთმიანი პოეტი

1921 წელს კომუნისტური რუსეთის ხელოვნების ქურუმმა ანატოლი ლუნაჩარსკიმ ოფიციალურად შესთავაზა აისედორას, რომ მოსკოვში ცეკვის სკოლა გაეხსნა. აისედორასთვის საბჭოურ გარემოში შესვლა სხვა ცხოვრებაში გადაბარგებას ნიშნავდა და მანაც თანხმობა გამოთქვა ამ წინადადებაზე, მაგრამ კომუნისტების კეთილგანწყობა დიდხანს არ გაგრძელებულა „მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტისადმი“ და ქალი მალევე შეუდგა უკან დაბრუნებისათვის მზადებას, მაგრამ ამ განზრახვას წინ აღუდგა ერთი უცნაური ფაქტორი... სერგეი ესენინი!

* * *

იმხანად აისედორა სიმსუქნეშეპარული, მოკლედ თმაშეჭრილი 43 წლის ქალი იყო, ესენინი კი 27 წლის, ოქროსთმიანი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა კაცი გახლდათ. დასკვნები თავად გამოიტანეთ, განგებისეული „სასჯელის“ წინაშე ვალმოხდამ კი აისედორა დუნკანი მორიგ და საბედისწერო სლავ მამაკაცს შეჰყარა, რომელმაც, სხვა დანარჩენთაგან განსხვავებით, ორიოდე დღის ნაცნობობის შემდეგ იქორწინა მასზე.

**საოცარია, მაგრამ სერგეი ესენინი იყო პირველი და ერთადერთი ოფიციალური ქმარი აისედორა დუნკანისა.**

* * *

ეს შეუღლება, რა თქმა უნდა, ყველას საეჭვოდ მოეჩვენა და არც შემცდარან, რადგან, როგორც საბოლოოდ გაირკვა, ესენინს ერთი რამ ჰქონდა მიზნად დასახული, რომ დუნკანთან ერთად (როგორც მისი ოფიციალური მეუღლე!) კომუნისტებს საზღვარგარეთ გაჰქცეოდა. ეჭვს მით უმეტეს ის ამძაფრებდა, რომ „მოყვარული მეუღლეები“ ინტიმურ გარემოშიც კი თარჯიმნის საშუალებით ამყარებდნენ კონტაქტს.

ძნელია იმსჯელო ამ უცნაური წყვილის ჭეშმარიტ ურთიერთდამოკიდებულებაზე, რადგან არც ესენინი იყო მთლად დალაგებული და მოწესრიგებული სულის ადამიანი და „ფრენის სურვილში“ არაფრით ჩამორჩებოდა (თუ არ სჯობნიდა) სახელოვან მეუღლეს. ერთი რამ კი ფაქტია, რომ ეს ორი გენიალური პიროვნება დიდ პატივს სცემდა ერთმანეთს, თუმცა მალევე დაეწყოთ სკანდალების სერიალი, რასაც ხელი გარკვეულწილად კომუნისტურმა სიბრიყვემ შეუწყო (*...ჯერ სიბრიყვე რა არის და მით უმეტეს კომუნისტური! - ალ.ელ.*), რომლის იდეოლოგები პრესაში ესენინს მოიხსენიებდნენ არა როგორც (დიდ!) რუს პოეტს, არამედ როგორც „ამერიკელი მოცეკვავის ქმარს“ (?!) სხვათა შორის ასეთივე იარლიყი მიაკერეს ესენინს საზღვარგარეთაც, სადაც მათ 1922 წელს გააღწიეს და ევროპა-ამერიკაში დაიწყეს საგასტროლო ტურნეები; ოღონდ იქ ასე წერდნენ: „გენიალური ამერიკელი მოცეკვავის რუსი ქმარიო“ და იმასაც ამატებდნენ - ეს ოქროსთმიანი რუსი „დიდი აისედორას უკანასკნელი კაპრიზიაო“ და სიტყვასაც არავინ სძრავდა იმის შესახებ, რომ ესენინი პოეტი გახლდათ. თუმცა ეს სერგეი ესენინის პრობლემაა, რასაც, თუ საშუალება მოგვეცა, სხვა დროს შევეხებით.

* * *

აისედორა დუნკანისათვის კი სიცოცხლის დარჩენილი სამი წელი ისეთივე კოშმარად იქცა, როგორც დასაწყისი მისი დიდი ცხოვრებისა.

1924 წელს მან საბოლოოდ მიატოვა რუსეთი (უკვე საბჭოთა კავშირი) და ნიცაში დასახლდა. ერთი წლის შემდეგ კი შეიტყო, რომ სერგეი ესენინმა ლენინგრადში, სასტუმრო „ანგლეტერში“ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე და ასეთი ჩანაწერი გააკეთა ავტობიოგრაფიაში:

> „მე სულით ხორცამდე შემძრა სერგეის სიკვდილმა, მაგრამ მასთან გატარებულმა სამმა დამქანცველმა წელმა დამარწმუნა, რომ მან ყველა ადამიანური წამების მარაგი ამოწურა და სიკვდილიღა დაიტოვა შესაცნობად“

* * *



აისედორა დუნკანის უკანასკნელი მიჯნური ასევე რუსი, პიანისტი ვიქტორ სეროვი იყო. გარდა საერთო სიყვარულისა მუსიკისადმი, მათ ისიც აერთიანებდათ, რომ საათობით შეეძლოთ ესაუბრათ რევოლუციამდელი რუსეთის სიკეთეთა შესახებ. სეროვი ოცდახუთიოდე წლის კაცი იყო და მასაც, როგორც ჩანს, გენიალური მოცეკვავის ჩრდილში სურდა ხელის მოთბობა და სხვა არაფერი, რადგან „განზე გასული რომანებით“ იმდენად შელახა აისედორას თავმოყვარეობა, რომ თვითმკვლელობის ზღვართან ისიც (დუნკანიც!) არაერთხელ მიიყვანა.

## ავტომობილი – ბედისწერა

ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებული მორიგი სკანდალის შემდეგ, 1927 წლის 14 სექტემბრის საღამოს აისედორა დუნკანმა კონკურენტი ქალის ვინაობის დადგენა მოისურვა...

თბილი საღამო იყო და ტანზე, ლაბადის ნაცვლად თავისი საყვარელი წითელი, გრძელი შალი მოიხურა. ავტომობილიც საგანგებო მოაყვანინა, რათა, ვითომდა სასეირნოდ წასულს, მოღალატე მიჯნურის გზა-კვალისთვის ადვილად ედევნებინა თვალი.

მანქანა ფრთხილად დაიძრა, მაგრამ რამოდენიმე მეტრში შეჩერდა, რადგან უკანა ბორბლის ბრუნვას რაღაც აფერხებდა... მძღოლმა უკან რომ მოიხედა, დაინახა ფანჯარაში გადაყუდებული აისედორა დუნკანი, რომლის წითელი შალი ბორბალში იყო ჩახვეული, პატრონი კი კისერგადამტვრეული და სიცოცხლედასრულებული.

* * *

აისედორა დუნკანი პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე დაკრძალეს...

* * *

საოცრად საინტერესო იყო ამ წერილის მომზადებაც და წერაც, მაგრამ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი, სამწუხაროდ, ვერ ჩაეტია საგაზეთო ჩარჩოებში.

**ალ.ელერდაშვილი**

მოგეხსენებათ, სამშაბათის გამოშვებაში პატარა რუსულენოვანი ტურნირი წამოვიწყეთ, რაშიც ინტერესით ჩაებნენ არცთუ დიდი რაოდენობის, მაგრამ დიდი ძალისა და გამოცდილების მქონე კროსვორდისტები. სასიხარულოა, რომ მათს რიგებს რამოდენიმე ახალი მონაწილეც შეემატა. ყოველივე ეს კი გვაფიქრებინებს, რუსულენოვანი ჩემპიონატებისა და ტურნირების გამართვას, რაც (ჯერ ერთი) ქართული თემატიკით გაჯერებული კროსვორდების ამოხსნას გულისხმობს და მეორე და მთავარი კი ისაა, რომ შორეულ პერსპექტივაში ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ თამაშებზედაც ვოცნებობთ, სადაც, მოგეხსენებათ, ქართულად მხოლოდ შოპ-ტურისტები ლაპარაკობენ.

გასულ ოთხშაბათს გამართა მეორე ტური. დღეისათვის ცხრილში ასეთი მდგომარეობაა (მხედველობაში მიიღება ოთხი საუკეთესო შედეგი, ასე რომ შეგიძლიათ გამოტოვოთ ერთი არასასურველი ტური):

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კობა მამულაშვილი | 20 | 20 | ლიდა სეხბოსიანი | 19 | 20 |
| ლალი ჩხენკელი | 20 | 20 | ლია პეტროსიანი | 18 | 19 |
| ზიზი ბუბაშვილი | 20 | 20 | ვერა კრასნობაევა | 18 | 20 |
| ქეთინო გიგანი | 20 | - | გივი კაპანაძე | 18 | 19 |
| ვახტანგ ნანავა | 20 | 13 | ირაკლი გიგაური | 17 | - |
| ნინო ურუშაძე | 20 | 20 | ალექსანდრე გოგოძე | 16 | 17 |
| ლიანა კუსრაძე | 20 | 20 | ვაჟა პაპუაშვილი | - | 19 |
| ზურა სესიტაშვილი | 20 | 19 | ნელი გორგაძე | - | 20 |
| ჯაბუ ბოხაშვილი | 20 | 19 | თავადი იგორი (ფსევ.) | - | 20 |
| ნათია გიორგაძე | 20 | 19 | ლილე აქუბარდია | - | 20 |
| თინა ფურცელაძე | 19 | - | ნანა სუხაშვილი | - | 19 |

## უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი

**გოტრა** - ბრაჰმანიზმში გვარი, მოდგმა.

**გოტფრიდ** ბულიონელი - იხილე *გოდფრუა ბუიონელი.*

**გოტფრიდ** შტრასბურგელი - XII-XIII სს გერმანელი მწერალი.

**გოტშედი** იოჰან კრისტოფ - გერმანელი მწერალი (XVIII ს).

**გოტჰელფი** იერემიას (ალბერტ ბიციუსი) - შვეიცარელი მწერალი (XIX საუკუნე).

**გოტჰობი** - გრენლანდიის ადმინისტრაციული ცენტრი.

**გოუენი** ჯეიმზ - ინგლისელი არქიტექტორი (XX საუკუნე).

**გოუ-მანი** - ჩინურ მითოლოგიაში: ხეების, აგრეთვე, აღმოსავლეთის, მფარველი სული

**გოუჯეკიტი** - დაბა ბურიატიაში (რუსეთი).

**გოფანთოს** ბრძოლა - 1588 წ ბრძოლა ქართლის მეფე სიმონ I-ისა და იმერეთის მეფე ლევანის ლაშქრებს შორის.

**გოფერი** - ქვეწარმავალი, მიწისზედა კუ.

**გოფრი** - ლითონის ან ფანერის თხელი ფურცლები ტალღისებური ზედაპირით.

**გოფრირება** - ტალღისებური ნაკეცების გაკეთება ქსოვილზე.

**გოფშტეინი** დავიდ - რუსეთში მოღვაწე ებრაელი პოეტი (XX საუკუნე).

**გოქალე** გოპალ კრიშნა - ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე.

**გოქთეფე** - დაბა თურქმენეთში.

**გოქსიური** - სამხრეთ თურქმენეთის ბინადარ მიწათმოქმედთა ენეოლითური ხანის გორანამოსახლარი.

**გოქშო** - ერთგვარი ბალახოვანი მცენარე.

**გოქჩა** (გოგჩა) - (თურქ. ლურჯი წყალი) *სევანის* ტბის თურქული სახელი.

**გოქჩაი** - მდინარე აზერბაიჯანში.

**გოშაპელაკნი** - ყურთ გრგოლი ოქროსი (საბა).

**გოშია** - პატარა ძაღლი, ფინია.

**გოშმა** (კოშმა) - თურქულენოვანი ხალხების ლექსთწყობის გავრცელებული ფორმა.

**გოშჩაა** - დაბა უკრაინის როვნოს ოლქში.

**გოშჩინსკი** სევერინ - პოლონელი პოეტი (XIX საუკუნე).

**გოჩარი** იოსეფ - ჩეხი არქიტექტორი (XX საუკუნე).

**გოჩაჯიხაიში** - სოფელი ხონის რაიონში.

**გოცაძე** თემურ - მხატვარი (XX საუკუნე)

**გოცი** 1) გასპარო - იტალიელი მწერალი (XVIII ს). 2) კარლო - იტალიელი დრამატურგი (XVIII-XIX ს)

**გოცირიძე** (დელისი) - თბილისის მეტროპოლიტენის სადგური, სახელი ეწოდა ცნობილი ინჟინრის, მეტრომშენებლის ვიქტორ გოცირიძის საპატივცემლოდ.

**გოცირიძე** ნიკოლზ - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი (XX საუკუნე).

**გოცოლი** ბენოცო (დი ლეზე დი სანდრო) - იტალიელი ფერმწერი (XV ს).

**გო ძი** - ჩინურ მითოლოგიაში: ბედნიერებისა და მშობელთა პატივისცემის ღვთაება.

**გოძიაშვილი** 1) ვასო - დიდი ქართველი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი (XX საუკუნე). 2) მარეხ - ესტრადის მომღერალი (XX საუკუნე).

**გოჭა** - 1) ერთგვარი ფრინველი მეჭვავიასნაირთა რიგისა. 2) იგივეა, რაც კობრი (თევზი).

**გოჭალა** - მტკნარი წყლის თევზების გვარი ხლაკუნასებრთა ოჯახისა.

**გოჭი** - ღორის ნაშიერი ოთხ თვემდე.

**გოჭოურის** ბრძოლა - 1623 წლის ბრძოლა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანისა და იმერეთის მეფე გიორგი III-ის ლაშქრებს შორის.

**გოხნარი** - სოფელი თეთრი წყაროს რ.

**გოხი** - კლდის ნატეხი რიყის ქვა.

**გოხუა** - ჩინეთში აბრეშუმისა და ქაღალდის გრაგნილზე წყლის საღებავებით ხატვა.

**გოჯა** მიხალ - სლოვაკეთის ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი XIX საუკუნეში.

**გოჯეული** - სიგრძის ძველი საზომი საქართველოში (დაახლ. 6,32 სმ)

**გოჯი** - მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე.

**გოჯიაანები** - სოფელი თიანეთის რაიონში.

**გოჯითა** - ყოფილი სოფელი ცხინვალის რაიონში.

**გჟელის** კერამიკა - მოსკოვის მახლობლად მდებარე გჟელში დამზადებული კერამიკული ნაწარმი.

**გჟელშჩაკი** ფრანციშეკ - პოლონელი რევოლუციონერი (XIX-XX სს).

**გრა** (გრასი) ფელიქს - პროვანსელი პოეტი (XIX საუკუნე).

**გრაალი** - დასავლეთ ევროპის შუასაუკუნეების ლეგენდების თანახმად, იდუმალებით მოცული ჭურჭელი, რომელთან მიახლოებისათვისაც რაინდები გმირობებს იქმოდნენ. ითვლებოდა, რომ ამ ჭურჭელში ჯვარცმული ქრისტეს სისხლი იყო მოქცეული.

**გრააფი** რენიე დე - ჰოლანდიელი ანატომი და ფიზიოლოგი.

**გრააფის** ბუშტუკი - ძუძუმწოვრებისა და ადამიანის საკვერცხეში მომწიფებული ბუშტუკის მსგავსი ფოლიკული.

**გრაბალი** ბოგუმილ - ჩეხი მწერალი (XX საუკუნე).

**გრაბარი** 1) ანდრე - ფრანგი ხელოვნების ისტორიკოსი (XX საუკუნე). 2) იგორ - რუსი ფერმწერი (XIX-XX სს).

**გრაბარი** - ძველსომხური ენა.

**გრაბაუ** - იხილე *გრაბო.*

**გრაბე** კრისტიან დიტრიხ - გერმანელი დრამატურგი (XIX საუკუნე).

**გრაბენი** - ციცაბო ან ვერტიკალური წყვეტების (ნასხლეტების) გასწვრივ დაძირული დედამიწის ქერქის უბანი.

**გრაბერი** პიერ - შვეიცარიის პოლიტ. და სახელმწიფო მოღვაწე (XX საუკუნე).

**გრაბიანკა** გრიგორი - უკრაინელი მემატიანე, კაზაკების პოლკოვნიკი (XVIII ს).

**გრაბიენსკი** ვლადისლავ - პოლონელი ისტორიკოსის ვ.სმოლენსკის გვარი.

**გრაბო** ამადეუს უილიამ - ამერიკელი გეოლოგი (XIX–XX სს).

**გრაბოვეცკი** სებასტიან - პოლონელი პოეტი (XVI-XVII სს).

**გრაბსკი** ვლადისლავ - პოლონეთის პოლიტ. მოღვაწე, ისტორიკოსი (XIX-XX სს).

**გრაგნილი** - მილის მსგავსად დახვეული ხელნაწერი.

**გრადაცია** - ერთი საფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლა, თანამიმდევრობა.

**გრადაც-კრალოვე** - ქალაქი ჩეხეთში.

**გრადიენტი** - რაიმე ფიზიკური სიდიდის სივრცეში ზრდის ან კლების საზომი.

**გრადიჟსკი** - დაბა უკრაინის პოლტავის ოლქში.

**გრადო** - კლიმატური კურორტი ჩრდ. იტალიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

**გრადოპოლოვი** კონსტანტინე - რუსი მოკრივე სპორტსმენი და მწვრთნელი (XX საუკუნე).

**გრადსკი** ალექსანდრე - ესტრადის რუსი მომღერალი და კომპოზიტორი (XX-XI სს).

**გრადუირება** - გრადუსებისა და სხვა დანაყოფების აღნიშვნა რამეზე.

**გრადუსი** - 1) რკალისა და კუთხის საზომი ერთეული, უდრის წრეხაზის 1/360 ნაწილს. 2) ტემპერატურის საზომი ერთეული. 3) სითხის სიმკვრივის საზომი ერთეული. 4) ალკოჰოლური სასმელის სიმაგრის ერთეული.

**გრავე** - ძალიან ნელი ტემპი მუსიკაში.

**გრავიმეტრი** - სიმძიმის ძალის საზომი ხელსაწყო, იყენებენ მადნეულის ძიებისას.

**გრავიმეტრია** - გეოფიზიკის ნაწილი, სწავლობს სიმძიმის ძალის განაწილებას დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა წერტილში.

**გრავინა** ალფრედო დანტე - ურუგვაელი მწერალი (XX საუკუნე).

**გრავიორი** - გრავირების სეციალსტი.

**გრავირება** - ნახატის ან წარწერის ამოჭრა ლითონზე, ხეზე, ქვაზე, მინაზე.

**გრავიტაცია** - სხეულთა ურთიერთმიზიდულობა.

**გრავიურა** - ხეზე, ქვაზე ან ლითონზე ამოჭრილი გამოსახულების ანაბეჭდი.

**გრაიები** - ძველ ბერძნულ მითოლოგიაში: სიბერის განმსახიერებელი ღმერთქალები.

**გრაივორონი** - დაბა რუსეთის ბელგოროდის ოლქში.

**გრაიზენი** - ქანი, რომელიც შეიცავს კვარცს, თეთრ ქარსებს და სხვა მადნეულ მინერალებს.

**გრაიმზ-გრეივზი** - ნეოლითური ხანის კაჟის მაღაროები ქალაქ ბრენდონთან (აღმ. ინგლისი).

**გრაის** ალპები - მთაგრეხილი საფრანგეთიტალიის ალპებში.

**გრაიფერი** - ამწის ნაწილი, ორი ნახევრისაგან შემდგარი ჩამჩა, რომელიც მექანიკურად იხსნება და იხურება.

**გრაიფსვალდი** - ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში.

**გრაიჩიუნასი** იონას - ლიტველი პოეტი (XX საუკუნე).

**გრაიცი** - ქალაქი აღმოსავლეთ გერმანიაში.

**გრაკალი** - სოფელი კასპის რაიონში.

**გრაკლა** - დაბალი დეკორატიული ფოთლოვანი ბუჩქი.

**გრაკქუსი** გაიუს - რომის სახალხო ტრიბუნი (ძვ. წ. მე-2 ს).

**გრაკქუსი** ტიბერიუს - რომის სახალხო ტრიბუნი (ძვ. წ. მე-2 ს).

**გრამა** - რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს გრაფიკულ გამოსახულებას, ჩანაწერს.

**გრამადევატა** - ინდურ მითოლოგიაში: სოფლების მფარველი ღვთაება.

**გრამატიკა** - მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ.

**გრამატიკა** ემა და ირმა - იტალიელი მსახიობი ქალები (XIX-XX სს).

**გრამატოლოგია** - დამწერლობათა შემსწავლელი მეცნიერება.

**გრამ-ატომი** - ნივთიერებათა რაოდენობის ერთეულის ძველი სახელწოდება; ამჟამად ენაცვლება *მოლი.*

**გრამ-ეკვივალენტი** - ქიმიური ელემენტებისა და ნაერთების ნივთიერებათა რაოდენობის ერთეულის ძველი სახელწოდება; ამჟამად ენაცვლება *მოლი.*

**გრამენო** მიხალ - ალბანელი საზ. მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი (XIX-XX სს).

**გრამი** - მასის ერთეული ზომათა მეტრულ სისტემაში; უდრის ერთი კუბური სანტიმეტრი წყლის წონას.

**გრამიციდინი** - ანტიბიოტიკი, რომელსაც წარმოქმნიან ნიადაგის ბაქტერიები.

**გრამოტეინო** - დაბა რუსეთის კემეროვოს ოლქში.

**გრამოფონი** - ძველებური აპარატი, რომელიც გადმოსცემს ფირფიტაზე ჩაწერილ ხმას.

**გრამპიანის** მთები - მთები შოტლანდიაში (დიდი ბრიტანეთი).

**გრამში** ანტონიო - იტალიის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი (XX საუკუნე).

**გრანადა** - ქალაქი ნიკარაგუაში.

**გრანადა** - ქალაქი სამხრეთ ესპანეთში.

**გრანადოსი** (გრანადოს ი კამპინია) ენრიკე - ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი (XIX-XX სს).

**გრანატა** - ფეთქებადი ჭურვი.

**გრანატები** - სილიკატების კლასის მინერალები, იყენებენ აბრაზიულ მასალად.

**გრანატკინი** ვალენტინ - რუსი ფეხბურთელი და ჰოკეისტი (მეკარე) სპორტსმენი და სპორტული მოღვაწე.

**გრანატმტყორცნი** - ჯავშანგამტანი ჭურვების სატყორცნი მსუბუქი გადასატანი იარაღი.

**გრანაჩი** ფრანჩესკო - იტალიელი ფერმწერი ფლორენციიდან (XV-XVI სს).

**გრან-ბასამი** - ქალაქი კოტ დ'ივუარში.

**გრანდ-ბასა** - იხილეთ *ბიუკენენი.*

**გრანდე** ლარა ფელიქს - იტალიელი პოეტი, ესეისტი.

**გრანდი** - 1) ესპანეთში დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება. 2) საუკეთესო, ექსტრაკლასის.

**გრანდიდიე** ალფრედ - ფრანგი მოგზაური და ნატურალისტი (XIX-XX სს).

**გრანდიოზული** - ძალიან დიდი, დიადი.

**გრანდ-კული** - კანიონი აშშ-ს კოლუმბიის პლატოზე.

**გრანდ-ოპერა** - პარიზის სახელმწიფო საოპერო-საბალეტო თეატრი.

**გრანდ-რეპიდზი** - ქალაქი აშშ-ს მიჩიგანის შტატში.

**გრანდ-ფოლზი** - იგივე *ჩერჩილ-ფოლზი.*

**გრანელი** (კვირკველია) ტერენტი - ქართველი პოეტი (XX საუკუნე).

**გრანველა** ანტუან პერენო დე - ესპანეთის სახელმწიფო მოღვაწე, კარდინალი (XVI ს).

**გრანვილი** (ჟან ინიას იზიდორ ჟერარი) - ფრანგი გრაფიკოსი (XIX საუკუნე).

## ჩვენი ენციკლოპედიით დაინტერესებულ მკითხველთა საყურადღებოდ

ჩვენ ვიცით, რომ „ფანტაზიის“ მკითხველთა საკმაო ნაწილი საგანგებოდ აგროვებს და კინძავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ ენციკლოპედიას. სწორედ მათ, გვსურს, მოვახსენოთ, რომ ამ ენციკლოპედიამ გასული ორი თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა (ეს ინფორმაცია, ალბათ, სხვა მკითხველებსაც დააინტერესებს).

* * *

- გასული თვის განმავლობაში ჩვენ ინტენსიურად ვმუაშობდით საბაზო ტექსტზე და მისი ოდენობა ახლა უკვე 4 ასოს - ა,ბ,გ,დ - სრულ ტექსტს მოიცავს.
- ძალზედ დიდი „შავი სამუშაოს“ შესრულების შემდეგ გაირკვა, რომ ეს „ტექსტი“ გამოვიდა ვიწრო საკროსვორდო ფარგლებიდან და ენციკლოპედიური ლექსიკონის სტატუსი შეიძინა.
- მაგალითისათვის: ა) ტექსტში ჩასწორდა და ჩამატებულ იქნა ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებასთან დაკავშირებული ზუსტი თარიღები და ზოგადად საუკუნე აღარ არის მითითებული. ბ) სრული სახე მიიღო აბსოლუტურად ყველა შემოკლებამ. გ) ჩამატებულ იქნა თანამედროვე ინგლისურენოვანი ენციკლოპედიების და ზოგადად დღევანდელობის ჯერ კიდევ აღუნუსხავი ცნებები-მოვლენები და ა.შ.

ყოველივე ამის ხარჯზე თუნდაც ასო ა-ს ტევადობა 40%-ით გაიზარდა გაზეთში გამოქვეყნებულთან შედარებით.

- ტექსტის საბაზო ვარიანტი შესწორებებისა და შენიშვნებისათვის გადაეცა ჩვენს მკითხველებს (გიორგი ვეკუა, გიორგი ნიშნიანიძე, ნინო ურუშაძე), რომლებმაც უკვე საკმაო კორექტივები შეიტანეს ენციკლოპედიაში. განზრახული გვაქვს ეს ტექსტი „ფანტაზიის“ კლუბის სხვა წევრებსაც გავაცნოთ, რომლებიც საკუთარი სპეციალობების მიხედვით გადაამოწმებენ ენციკლოპედიის მონაცემებს.

### რაც შეეხება წიგნის გამოცემას:

ვიმედოვნებთ, რომ მალე მეხუთე ასოსაც მივამატებთ უკვე რეალურად არსებულ ტექსტს და შემოდგომის მიწურულს შევძლებთ „უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონის“ დაახლოებით 250-გვერდიანი („ფანტაზიის“ ფორმატის, ანუ A-4-ის) წიგნის გამოცემას, სადაც გარდა ენციკლოპედიური მასალებისა შევა ნობელისა და ოსკარის პრემიის ლაურეატთა ყველა დარგის სრული სია და სხვადასხვა ნუსხები, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ქვეყნდებოდა წლების მანძილზე.

* * *

გამოიკვეთა ენციკლოპედიის სრული ტექსტის ჩარჩოებიც, რის საფუძველზედაც განზრახულია ამ ტიპის სამი წიგნის გამოცემა:

I ტომი - ა-ე, II ტომი - ვ-ნ, III ტომი - ო-ჰ.

ამ წიგნების გამოცემის შემდეგ (თუ ღმერთმა და წუთისოფელმა ინება) მთელი მასალა, ალბათ, ერთ ტომში მოთავსდება და ცალკე გამოიცემა, რაც მუდმივ შევსება-შესწორებას უნდა ექვემდებარებოდეს.

* * *

უკვე სერიოზულად ვფიქრობთ ტექსტის ინტერნეტში განთავსების თაობაზე, რის შესახებაც ცალკე ვისაუბრებთ.

* * *

ენციკლოპედიის პირველი ტომი ძირითადად „ფანტაზიის მკითხველებში გავრცელდება, რომელთა შორისაც ამ ნაშრომს უკვე მოპოვებული აქვს სათანადო პატივისცემა. ფართო ბაზარზე გასვლა, ალბათ, დანარჩენი ტომების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

„ფანტაზიის“ მკითხველებს უფლება და საშუალება მიეცემათ იმისა, რომ წიგნი უშუალოდ ჩვენგან შეიძინონ დადგენილი ღირებულების ნახევარ ფასში. ამ მიზნით წიგნის გამოცემამდე მცირე ხნით ადრე ჩვენ გამოვაქვეყნებთ სპეციალურ ბლანკს, რომლის წარმომდგენსაც ყოველგვარი პრობლემების გარეშე გადაეცემა წიგნი (ანგარიშსწორება მოხდება მხოლოდ წიგნის გამოცემის შემდეგ და არა წინასწარ).

* * *

P.S. ასო გ-ს ტექსტის გამოქვეყნებას კი ძველი სახით უახლოეს ნომრებში დავასრულებთ.

# თავსატეხი ციფრებით

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ა | 2 | მ | 4 | ღ | 3 |
| ბ | | ნ | 1 | ყ | |
| გ | | ო | | შ | |
| დ | | პ | | ჩ | |
| ე | | ჟ | | ც | |
| ვ | | რ | | ძ | |
| ზ | | ს | | წ | |
| თ | | ტ | | ჭ | |
| ი | | უ | | ხ | |
| კ | 5 | ფ | | ჯ | |
| ლ | | ქ | | ჰ | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | ■ | 21 | 2 | 23 | 2 | 27 | 23 | 2 | 9 | 15 | ■ |
| 2 | ■ | 3 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | ■ | ■ | 29 | ■ | 2 | ■ | 15 | ■ | 21 |
| 21 | 2 | 4 | 2 | 11 | 25 | 27 | 5 | ■ | 2 | 24 | 22 | 27 | 5 | 21 | 28 | 5 |
| 2 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 23 | ■ | 22 | ■ | 31 |
| 31 | 2 | 21 | 2 | 4 | 2 | 27 | 22 | 17 | 2 | ■ | 7 | 27 | 25 | ■ | ■ | 22 |
| 5 | ■ | 26 | ■ | 2 | ■ | 2 | ■ | 15 | ■ | 19 | ■ | 5 | ■ | 21 | ■ | 27 |
| ■ | 10 | 29 | 2 | ■ | 21 | 28 | 22 | 27 | 5 | 29 | 5 | 20 | 2 | 12 | 5 | 2 |
| 4 | ■ | 2 | ■ | 19 | ■ | 5 | ■ | 5 | ■ | 2 | ■ | 5 | ■ | 22 | ■ | 12 |
| 2 | ■ | ■ | 9 | 15 | 25 | ■ | 2 | 30 | 2 | 21 | 5 | ■ | 2 | 1 | 32 | 5 |
| 19 | ■ | 2 | ■ | 27 | ■ | 4 | ■ | 22 | ■ | 5 | ■ | 7 | ■ | 2 | ■ | 2 |
| 17 | 22 | 27 | 1 | 21 | 28 | 2 | 5 | 1 | 5 | ■ | 13 | 2 | 33 | 27 | 5 | ■ |
| 22 | ■ | 18 | ■ | 22 | ■ | 27 | ■ | 5 | ■ | 23 | ■ | 25 | ■ | 5 | ■ | 14 |
| 28 | 27 | 5 | 23 | 28 | 5 | 8 | 5 | ■ | 23 | 2 | 28 | 27 | 5 | 21 | 5 | 2 |
| 5 | ■ | 26 | ■ | 5 | ■ | 21 | ■ | ■ | ■ | 5 | ■ | 4 | ■ | 28 | ■ | 25 |
| ■ | 9 | 5 | 15 | ■ | 6 | 5 | 1 | 31 | 5 | ■ | 17 | 2 | 16 | 5 | 2 | ■ |

# ანონსი

**სამშაბათს, 5 აგვისტოს, სამშაბათის გამოშვებაში**



Pat-ricia Kaas

# იაპონური შემოქმედება

40

35

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | | | 1 | 2 | | 3 | 2 | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 2 | | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | | 3 | | 3 | 2 | | 2 | | | | | | |
| | | | | | | | 3 | 5 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 5 | 1 | 1 | 2 | 1 | | 1 | 3 | | 4 | | | |
| | | | | | | 2 | 2 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 9 | 5 | 2 | 2 | 1 | | | |
| 3 | 5 | 7 | | | | 7 | 5 | 2 | 4 | 3 | 1 | 2 | 1 | 8 | 9 | 3 | 4 | 5 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 10 | 13 | 17 |
| 2 | 3 | 6 | 9 | 21 | 22 | 5 | 5 | 11 | 15 | 17 | 17 | 17 | 17 | 7 | 5 | 4 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 3 | 2 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 2 | 2 | 1 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 3 | 3 |
| | | | 1 | 2 | 2 | 2 |
| | | | 2 | 1 | 1 | 2 |
| | | 1 | 2 | 6 | 2 | 1 |
| | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | | | 2 | 2 |
| | | | 2 | 2 | 2 | 1 |
| | | 4 | 1 | 1 | 4 | 1 |
| 2 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 2 |
| | | 2 | 10 | 2 | 5 | 2 |
| | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 3 |
| | | | 3 | 3 | 5 | 3 |
| | | | 4 | 4 | 1 | 3 |
| | | | 4 | 6 | 3 | 4 |
| | | | 7 | 3 | 1 | 10 |
| | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 10 |
| 2 | 2 | 4 | 3 | 1 | 3 | 4 |
| | 2 | 4 | 1 | 11 | 3 | 3 |
| | | | 3 | 5 | 12 | 3 |
| | | | 9 | 13 | 3 | 3 |
| | | 7 | 7 | 5 | 8 | 2 |
| | | | 7 | 6 | 1 | 1 |
| | | | 5 | 6 | 1 | 1 |
| | | | | 5 | 6 | 5 |
| | | 1 | 4 | 7 | 4 | 1 |
| | | 1 | 3 | 13 | 4 | 7 |
| | | | 1 | 3 | 12 | 9 |
| | | 1 | 3 | 11 | 1 | 7 |
| | | 1 | 2 | 10 | 1 | 7 |
| | | 1 | 2 | 9 | 1 | 5 |
| | | | 1 | 3 | 7 | 13 |
| | | 1 | 3 | 6 | 2 | 2 |
| | | | | 1 | 3 | 5 |
| | | | | 1 | 3 | 3 |
| | | | | 1 | 3 | 2 |

# ხი-ხი!

ერთი მეგობარი ურეკავს მეორეს:

- მალე ჩემი იუბილეა და რას მირჩევ, რომელი ღვინო ვიყიდო - შავი თუ თეთრი?

- ვის რად უნდა შენი ღვინო?! იყიდე არაყი და ყველა დათვრება!

- შენ რა, გინდა რომ დიდი მოვლენა რიგით ლოთობად იქცეს?!

- პირიქით... პირიქით...

- ვერ გავიგე!

- მინდა, რომ რიგითი მოვლენა დიდ ლოთობად იქცეს.

* * *

სამხედრო ნაწილში გენერალი მიდის შემოწმებაზე და, როგორც წესია, მას პოლკოვნიკი ხვდება, რომელსაც ერთ თვალზე ხელი აქვს აფარებული.

- აბა, ვნახოთ პლაცი! - იწყებს გენერალი - კარგია, კარგია, ასფალტი მორეცხილია, ხაზები გათეთრებულია, ხეები შეღებილია... ვინ გააკეთა ეს?

- ზემდეგმა ძაძამიამ! - პასუხობს პოლკოვნიკი.

- ყოჩაღ ზემდეგო! აბა, ვნახოთ სასადილო... კარგია, კარგია... ვინ დაამყარა წესრიგი?

- ზემდეგმა ძაძამიამ! - პასუხობს პოლკოვნიკი.

- ყოჩაღ ზემდეგო! სამწყობრო მომზადებაც ვნახოთ... კარგია... კარგია! ვინ ავარჯიშა ჯარისკაცები?

- ზემდეგმა ძაძამიამ! - პასუხობს პოლკოვნიკი.

- ყოჩაღ ზემდეგო!

ბოლოსდაბოლოს გენერალი თავისთან იხმობს ზემდეგ ძაძამიას, რათა მადლობა გამოუცხადოს. ზემდეგი მადლობის გამოცხადებას შესაბამისად პასუხობს და თან ამატებს:

- ბატონო გენერალო, ღილი შეიკარით საყელოსთან!

- რაო?! - ღრიალებს გენერალი.

პოლკოვნიკი ჩასისხლიანებული თვალიდან ხელს იშორებს და გენერალს ჩურჩულით ეუბნება:

- შეიკარით, ბატონო გენერალო! ზემდეგი ძაძამია ბრძანებას ორჯერ არ იძლევა.

**ამავე ნომრის რეიტინგის პასუხები.**

1. სიზმარა. 2. იაშა. 3. მწვალებელი. 4. ტროპიკი. 5. რაია. 6. პროფესიონალი. 7. კლასიციზმი. 8. რეკლამა. 9. ბასტა. 10. გალილეა. 11. ერშოვი. 12. ჩაძირობანა. 13. ფედრა. 14. კლიენტი. 15. დევიზი. 16. ორლეანი. 17. შერგელაშვილი. 18. მარიბორი. 19. ლესიჭინე. 20. საკვამური. 21. შეკლი. 22. მანგანუმი. 23. კოლუმბია. 24. სახრე. 25. ნიკოტინი. 26. ოინი. 27. დაგვალული. 28. სკეტჩი. 29. ბათუმი. 30. სკარამუში. 31. ბაჩო. 32. ალდო. 33. აფრა. 34. ბულიტი. 35. გრეიპფრუტი. 36. ამონიუმი. 37. კილანინი.

ინდივიდუალური საწარმო
„ნატალია ბერიკიშვილი“ (ფანტაზია-2000)
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს
რაიონის სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელეფონები: 79-53-70, 76-68-02, (877) 45-19-80
გამოდის ალექსანდრე და ვახტანგ
ელერდაშვილების რედაქტორობით

იმის გამო, რომ ძალზედ დიდი დრო გავიდა გასული ნომრის პასუხებს არ ვბეჭდავთ. თუ ვინმეს ესა თუ ის პასუხი აინტერესებს, ვთხოვთ დაგვიკავშირდეს



ა.წ. 24 აგვისტოს, შაბათს, განზრახული გვაქვს საქროსვორდო გუნდური მატჩების ჩატარება „ფანტაზიის“ სხვადასხვა რეგიონის მკითხველთა შორის.

გვსურს მატჩებში მონაწილეობისათვის მოვიწვიოთ ჩვენი კოლეგა გამოცემების მკითხველებიც.

აღნიშნული ღონისძიების შესახებ დაწვრილებით შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

გ
მ
ა
დ
ლ
ო
ბ
თ

შემდეგი 20(262)

ფანტაზია

გამოვა

16 აგვისტოს

და მიეძღვნება

ჩვენს მეგობრებს

ამერიკელი უფროსი | გზა - ლათინურად | (......) ვაიდა | რუსეთის ქალაქი | გოგო ქავთარაძე „განგაში“ | ფრანგი მსახიობი

საფლავში არ ჩაგყვება
არაბი
სიმღერა ტივზე
სასროლეთშია
ლაქასხეულზე
აჭარელის დედა
აფრიკული ხე
ძველი ფრანგული ფული
„აშიკქერიბის“ რეჟის.
სათვალე
გოიას შიშველი
გამძლე ანუ?
მთელის ნაწილი
დომინოს პატი
თავზის ხაფანგი
(......) როსი
ნამცხვრის ნაწილი
კომპიუტერის ატრიბუტი
პატარა მწერი
საშვი ანუ?
საბჭოური მანქანა
ოსტატი ანუ?
„რუსთავი-2“
ცხოველის სადგომი
კამერუნის დედაქალაქი
ე.წ. „საფეიქრო“ ბანანი
ცხინველის სოფელი
პაუზა
აბატი პრევოს შევალიე
აშშ-ს საავტომობილო ცენტრი
სკანდინავიური ღვთაება
შეუთანხმებლობა
სად მიფრინავენ წეროები?
$\frac{1}{26}$
შოტლანდიელი ეკონომისტი
იაპონური ფირმა
პუშკინი, გრაფი
დიდი მოჭიდავე
დროშა ანუ?
დოსტოევსკი
ჭადრაკ. კოეფის.
პაუზა
პაუზა
ვილპელმი
ილუზია, ოცნება
აშშ-ს ექსპრეზიდენტი
პაუზა
ექიმი
$\frac{1}{7}$
იგივე წვეულება
ბელადი
იაპონ. ჭიდაობა
იაკობი
ინდურ ფილმშია